გ. ჩუბინაშვილის ქართული ხელოვნების ისტორიისა

და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის 2008 წელს

განხორციელებული საქმიანობის

ანგარიში

გ. ჩუბინაშვილის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის მიერ 2008 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში

პრეამბულა

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი დაარსდა 2005 წელს საქართველოს პრეზიდენტის 12 დეკემბრის განკარგულებით, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და ს. ქობულაძის სახ. ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიის გაერთიანების საფუძველზე.

2008 წლის 24 სექტემბერს დამტკიცდა გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის წესდება, რომელშიც განსაზღვრულია ცენტრის სტრუქტურა, მიზნები და ფუნქციები:

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის (ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების) მეცნიერული კვლევა, მისი პოპულარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა საკონსერვაციო პროგრამების შემუშავება და განხორცილებული პროექტების ექსპერტიზა; საინვენტარიზაციო–სააღრიცხვო საქმიანობა; ძეგლების ფოტოფიქსაცია; საგანმანათლებლო საქმიანობა; საზოგადოების ინფორმირება; საკონსერვაციო და კვლევითი მეთოდოლოგიის შემუშავება; სახელმწიფოს დახმარება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში პოლიტიკის შემუშავებაში, კერძოდ:

- ☐ ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევები კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ისტორიის სფეროებში;
- ☐ კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია (სამეცნიერო და პოპულარული გამოცემები, გამოფენები, ვებ-გვერდები, ტურისტულ-საინფორმაციო გამოცემები; მედია პროდუქცია და სხვ.);
- ☐ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და სრულყოფისათვის მეცნიერულად დასაბუთებული

თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება;

- კულტურული მემკვიდრეობის (ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების) ობიექტების ფიქსაცია და ინვენტარიზაცია (მოძრავი და უძრავი ძეგლების პასპორტების შედგენა), კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის დიგიტალიზაცია, დაკომპლექტება და არქივირება;
- ხელოვნების ნაწარმოებთა ფასეულობების (ობიექტების) ექსპერტიზა მათი კულტურული ღირებულებების დადგენის მიზნით;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების (როგორც მოძრავი, ასევე უძრავი) სარესტავრაციო-საკონსერვაციო პროექტებისა და მათი განხორციელების სამუშაოების ექსპერტიზა და მონიტორინგი.
- სასწავლო და საგანმანათლებლო პროცესებში მონაწილეობა (საშუალო სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები, სამაგისტრო კურსები);
- კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებების ფოტოფიქსაცია, დოკუმენტირება, არქივირება და სხვ.
- საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო შეკრებების მოწყობა და მონაწილეობა საქართველოში და საზღვარგარეთ;
- გ. ჩუბინაშვილის ცენტრის ნაწილს წარმოადგენს ს. ქობულაძის სახ. ძეგლთა ფიქსაციის ფოტო-ლაბორატორია, რომელიც აწარმოებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა ფოტოფიქსაციასა და დიგიტალიზაციას. ლაბორატორიაში ინახება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა უნიკალური ფოტო-ასახულობანი (სლაიდები, დიგიტალური გამოსახულებანი).

ცენტრის წესდების შესაბამისად 2008 წლის ნოემბერში ჩატარდა ცენტრის სამეცნიერო საბჭოს არჩევნები. ცენტრის სამეცნიერო საბჭომ 11 კაცის შემადგენლობით აირჩია სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ხელოვნებათმცდნეობის დოქტორი, პროფ. დიმიტრი თუმანიშვილი და სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი, ხელოვნებათმცდნეობის დოქტორი ქეთევან მიქელაძე.

წესდების შესაბამისად, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა კონკურსი ცენტრის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად. 2008 წლის 29 დეკემბერს საბჭომ ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე აირჩია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მარიამ დიდებულიძე.

ცენტრის საქამიანობა

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრს შორის დადებული ხელშეკრულების (№ 64. 21.03. 2008 წ.) თანახმად 2008 წელს **ცენტრის საქმიანობა წარიმართა შემდეგი მიმართულებებით:**

1. **სამეცნიერო კვლევა;**
2. **საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია;**
3. **სააღრიცხვო-საინვენტარიზაციო საქმიანობა;**
4. **საარქივო და საბიბლიოთეკო სექტორის საქმიანობა;**
5. **ს. ქობულაძის სახ. ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიის საქმიანობა;**
6. **სამინისტროს 2008 წლის კულტურული მემკვიდრეობის პროგრამის ფარგლებში მიზნობრივი პროექტების განხორციელება;**
7. **პოპულარული და სამეცნიერო წიგნების მომზადება და გამოცემა;**
8. **სამეცნიერო კონფერენციებში, სესიებში, სიმპოზიუმებში მონაწილეობა;**
9. **თანხების მოძიების პროგრამის განხორციელება;**
10. **საზოგადოების ინფორმირება და საინფორმაციო უზრუნველყოფა**
11. **საგანმანათლებლო საქმიანობა**
12. **მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგება**

I. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა წარიმართა შემდეგი მიმართულებებით:

- ☐ წინაქრისტიანული ხანის ხელოვნება;
- ☐ შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება;
- ☐ შუა საუკუნეების ქართული მხატვრობა;
- ☐ შუა საუკუნეების ქართული ქვისა და ლითონის ქანდაკება;
- ☐ პატრონაჟი, კულტი და ხელოვნება;
- ☐ შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების იკონოგრაფია;
- ☐ კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაცია;
- ☐ თანამედროვე ქართული ხელოვნება;
- ☐ ახალი ხელოვნების განვითარების ისტორია;
- ☐ ხელოვნებათა სინთეზის საკითხები;

- ☐ თბილისი, როგორც კულტურული ფენომენი;
- ☐ ქართული სცენოგრაფია;
- ☐ საარქივო მასალების კვლევა.

კერძოდ, **სამეცნიერო კვლევის პროგრამის ფარგლებში** დამუშავდა 49 სამეცნიერო თემა::

1.1.) ᲬᲘᲜᲐᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲮᲐᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ:

- ☐ "საქართველოს წინაქრისტიანული ხანის გრაფიკული ხელოვნება (ძვ.წ. XV-VI სს.)"
  დამუშავებულია თლის სამაროვნის მასალები, შედგა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი წინაქრისტიანული ხანის გრაფიკული ხელოვნების ძეგლთა გავრცელების რუკა. დამუშავდა ლიტერატურა საქართველოში აღმოჩენილი ურარტული სარტყლების შესახებ.
- ☐ "გვიანანტიკური ხანის ქართული ლითონმქანდაკებლობის ადგილი კავკასიურ მელითონეობის კულტურაში (ჩრდილოკავკასიურ ლითონის პლასტიკასთან მიმართება)"
  ქართული და ჩრდილოკავკასიური ბრინჯაოს პლასტიკის ნიმუშების შესწავლისა და შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია მათი მხატვრული ურთიერთემიმართებანი.
- ☐ "ქართული წინაქრისტიანული კულტურის რამდენიმე მსოფლმხედველობრივი ასპექტი"
  არტეფაქტების მაგალითზე განხილულია სივრცის გააზრება, ცენტრის იდეა და სამყაროს ღერძი, დროის გააზრება წინაქრისტიანულ კულტურაში.

1.2) ᲨᲣᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲣᲠᲝᲗᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲐ:

- ☐ "წალენჯიხის ტაძრის არქიტექტურა"
  გამოკვლეულია წალენჯიხის ტაძრის არქიტექტურა, აღმშენებლობის ეტაპები, ისტორია, მისი მხატვრულ-ხუროთმოძღვრული თავისებურებები.
- ☐ "საქართველოს მთიანი რეგიონების საერო ხუროთმოძღვრების სივრცით-კომპოზიციური და მხატვრული სახის თავისებურებანი (ჩაჟაშისა და დართლოს მაგალითზე)"
  მოძიებულ იქნა და დამუშავდა საარქივო მასალა ჩაჟაშისა და დართლოს საერო არქიტექტურის შესახებ.
- ☐ "2006 წ.-ის არქეოლოგიური გათხრების მონაცემები მცხეთის სვეტიცხოვლის შესახებ"
  გეგემის თანახმად დამუშავდა მცხეთის სვეტიცხოვლის 2006 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა – გათხრების ფოტო-დოკუმენტაცია და საველე დღიურები.
- ☐ "ბოდბის მონასტერი"
  განხილულია ბოდბის მონასტრის ისტორია, სამონასტრო კომპლექსის ნაგებობები, მონსატრის მნიშვნელობა.

1.3) შუა საუკუნეების ქართული ქვისა და ლითონის ქანდაკება

- ☐ "მცენარეულ-ყვავილოვანი ორნამენტი შუა საუკუნეების ქართულ ჭედურ ხელოვნებაში"
  დამუშავდა ცაგერის ღმრთისმშობლის ხატისა და მისი ჯგუფის ძეგლების ორნამენტები; მღვიმევის ხატები. მხატვრულ-სტილური ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა XII-XIII საუკუნეების ქართული ორნამენტის ევოლუცია.
- ☐ "ადრეული შუა საუკუნეების ქართული პლასტიკის სიმბოლური მეტყველება"
  V-VI საუკუნეების არქიტექტურული დეკორისა და ქვაჯვართა რელიეფების მხატვრულ-სიმბოლური მნიშვნელობის ანალიზის საფუძველზე გარკვეულია ადრეული შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებში უმთავრესი სიმბოლოების მნიშვნელობა.
- ☐ "ხახულის მონასტრის მთავარი ტაძრის რელიეფები"
  დამუშავდა და შესწავლილ იქნა ხახულის მონასტრის მთავარი ტაძრის საფასადო რელიეფები, სამხრეთი პორტალის რელიეფები.
- ☐ "აწყურის ღმრთისმშობლის» კარედი ხატი"
  განხორციელდა „აწყურის ღმრთისმსობლის ხატის" შესწავლა და კვლევა მხატვრულ-სტილური ანალიზისა და ისტორიული წყაროების საფუძველზე.
- ☐ "გვიანა შუა საუკუნეების რელიეფური გამოსახულებები"
  შესრულდა გეგმით გათვალისწინებული სამუშაო მცხეთის სვეტიცხოვლის რელიეფური სკულპტურის კვლევის მიმართულებით. დამუშავდა ისტორიული წყაროები, სამეცნიერო ლიტერატურა და პარალელური მასალა.

1.4.) შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნის დასურათება

- ☐ "ჯრუჭის II ოთხთავის დასურათების მხატვრული პრინციპი (მათეს სახარების ილუსტრაციები)"
  შესწავლილია მათეს სახარების ტექსტისა და მინიატურების კავშირის საკითხი, მინიატურათა კომპოზიციური და იკონოგრაფიული თავისებურებები.

1.5.) შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა

- ☐ "გარეჯის საბერეების სამონასტრო კომპლექსის IX ს.-ის მოხატულობათა იკონოგრაფიული და სტილისტიკური თავისებურებანი"
  ნაშრომში განხილულია საბერეების № 5 და № 6 ეკლესიების იკონოგრაფიული და სტილური თავისებურებანი და მათი მიმართება თანადროულ კაპადოკიურ მოხატულობებთან.
- ☐ "რკონის ციხის ეკლესიის მოხატულობა"
  დამუშავდა და შესწავლილ იქნა რკონის ციხის ეკლესიის მოხატულობა.
- ☐ "სამოჭალოს წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა"
  შესწავლილია სამოჭალოს წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა და მისი მიმართება თეძმის ხეობის XII საუკუნის სხვა მოხატულობებთან.
- ☐ "იკვის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა"
  დამუშავდა სამცენიერო ლიტერატურა იკვის მოხატულობის შესახებ, განხორციელდა მოხატულობის აღწერა, ფოტოფიქსაცია და გრაფიკული სქემები.
- ☐ "დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის მოწამეთას ეკლესიის მოხატულობა"
  განხილულია უდაბნოს მოწამეთას ეკლესიის მოხატულობის იკონოგრაფიული პროგრამა. ძეგლის სტილისა და თარიღის დადგენის მიზნით განხორციელდა მისი შედარებითი ანალიზი გარეჯის სხვა მოხატულობებთან.
- ☐ "XVI ს.-ის II ნახ.-ის მხატვრობა გელათის ჩრდილოეთ კარიბჭეში"

ნაშრომში ისტორიული მონაცემებისა და სტილური მახასიათებლების გათვალისწინებით შესწავლილია გელათის ღმრთისმშობლის შობის ტაძრის ჩრდილო კარიბჭის XVI ს. მეორე ნახევრის მოხატულობა.

- ☐ "ქართული კედლის მხატვრობის XVII ს.-ის ისტორიიდან (ნიკორწმინდის, ნაკურალეშის, ხობის, ზარათის, შემოქმედის, ჯუმათის ეკლესიების მოხატულობა)"
  დამუშავდა გვიანი ხანის ქართული კედლის მხატვრობის ექვსი ძეგლი.

1.6.) შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების იკონოგრაფია:

- ☐ "წმ. ნიკოლოზის სახე შუა საუკუნეების ქართულ სახვით ხელოვნებაში"
  შესწავლილია წმ. ნიკოლოზის გამოსახულებები და მისი ცხოვრების ციკლი შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში.
- ☐ "სვეტიცხოვლის საკურთხევლის მოხატულობის საღვთისმეტყველო საწყისისთვის"
  განხილულია სვეტიცხოვლის საკურთხევლის მოხატულობა და მისი მიმართება ტაძრის დანარჩენ მხატვრობასთან; „ქრისტეს დიდებისა" და „ვედრების" გამოსახვის ტრადიცია ქართულ კედლის მხატვრობაში.
- ☐ "ადრეული ხანის ქართული მოხატულობანი და პროგრამათა რეგიონალური თავისებურებანი"
  საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ პროვინციებში შემორჩენილი ადრეული ხანის მოხატულობებების შესწავლისა და შედარებითი ანლიზის საფუძველზე გამოვლენილია რეგიონალურ ცენტრებში თანადროულად მიმდინარე მხატვრული პროცესების ურთიერთმიმართება.
- ☐ "გარეჯის მოხატულობანი"
  განხილულია გარეჯის ნათლისმცემლის საკრებულო ტაძრის მოხატულობის იკონოგრაფიული პროგრამა.

1.7.) პატრონაჟი, კულტი და ხელოვნება

- ☐ "მშენებელი ოსტატებისა და სამშენებლო იარაღების გამოსახულებები შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში"
  მშენებელი ოსტატებისა და სამშენებლო იარაღების გამოსახულებები განხილულია ადრე შუა საუკუნეების, განვითარებული შუა საუკუნეებისა და გვიანი შუა საუკუნეების რელიეფების და საფლავის ქვების მაგალითზე.
- ☐ "ახალი მასალები შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო ხელოვნების ისტორიისთვის: ფერწერული ხატები და ჭედურობის ნიმუშები ქვემო სვანეთიდან"
  დამუშავებული და შესწავლილია ახალადმოპოვებული მასალა ქვემო სვანეთის ფერწერული და ჭედური ხატების შესახებ. განხილულია ქვემო სვანეთის მხატვრული შემოქმედების ურთიერთმიმართების საკითხები ქართულ და ბიზანტიური წრის ხელოვნებასთან.

1.8.) ხელოვნების ნაწარმოებთა კორპუსები

- ☐ "ზემო სვანეთში დაცული შუა საუკუნეების ქართული ჭედური ხელოვნების ძეგლთა კორპუსი" (ტომი II)
  დამუშავებულია სვანური ჭედური ხატები მთავარანგელოზთა გამოსახულებებით. მოცემულია მათი ტიპოლოგია, იკონოგრაფია, ფუნქცია, დათარიღება, ქტიტორთა იდენტიფიკაცია, წარწერათა წაკითხვა.

1.9.) თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნება

- ☐ "1930-იანი წლების ქართული წიგნის გრაფიკა"

თავმოყრილი და დამუშავებულია 1930 წლებში გამოცემული წიგნები. მოძიებული და და ვიზუალურად შესწავლილია სხვადასხვა მხატვართა მიერ გაფორმებული რამდენიმე ათეული წიგნი.

☐ "XX ს-ის 70-80-იანი წლების დაზგური გრაფიკის განვითარების საკითხები (კვლევა დაეყრდნობა ნ. ჭურღულიას, მ. პოლიაკოვის, ა. რიჟინაშვილის და ს. აჯიაშვილის შემოქმედებას)".
წარმოდგენილია თბილისის „მხატვრის სახლთან" არსებული გრაფიკის სახელოსნოს მუშაობასთან დაკავშირებული მასალა. შეგროვილ იქნა გადარჩენილი დოკუმენტური მასალის ნაწილი. განხორციელდა ნ. ჭურღულიას ნამუშევრებისა და ინფორმაციული მასალის თავმოყრა და მხატვრის შემოქმედების მონოგრაფიული შესწავლა.

☐ "ქართველი მხატვრები პარიზში".
დამუშავდა თემის გარშემო არსებული ლიტერატურა და დოკუმენტური მასალები, დ. კაკაბაძის სახლ-მუზეუმში დაცული არქივი, ხელოვნების მუზეუმში – შალვა ქიქოძის წერილები. მოხდა კერძო კოლექციებსა და მუზეუმებში დაცული ნამუშევრების შესწავლა.

☐ "ვალერიან სიდამონ-ერისთავის შემოქმედება" .
მოძიებულია ვ. სიდამონ-ერისთავთან დაკავშირებული დოკუმენტური მასალა მუზეუმებისა და კერძო კოლექციებში.

☐ "ელენე ახვლედიანი"
დამუშავებულია ე. ახვლედიანის თეატრალური მხატვრობის მასალები რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებში, მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში.

☐ "ავთო ვარაზის შემოქმედება"
მოძიებულ იქნა და მომზადდა მასალა ავთო ვარაზის გამოფენისა და კატალოგისთვის.

☐ "ქართული კულტურის ესთეტიკური ფენომენი XX საუკუნის ხელოვნების მაგალითზე"
წარმოდგენილია XX ს-ის ქართული კულტურის ესთეტიკური ფენომენის საწყისის ძიება ნიკო ფიროსმანის ხელოვნების მაგალითზე.

1.10) ახალი ხელოვნების განვითარების

☐ "უახლესი დროის მხატვრობის (მოდერნიზმის) ძირითადი პრინციპების სისტემური ჩამოყალიბება იმპრესიონიზმისა და პოსტიმპრესიონიზმის მაგალითზე"
ნაშრომში წარმოდგენილია იმპრესიონიზმის გენეზისის განსაზღვრა და მისი როლი მოდერნიზმის ჩამოყალიბებაში. დელაკრუას, კოროს, მილეს, კურბეს შემოქმედების როლი მოდერნიზმის განვითარებაში. სეზანის როლი XIX ს. მიწურულისა და XX ს-ის ხელოვნების ჩამოყალიბებაში.

1.11) ხელოვნებათა სინთეზის საკითხები

☐ "სხვადასხვა დარგთა ერთობის საკითხისათვის ქართულ ხალხურ ხელოვნებაში" კვლევა ეყრდნობა ხალხური ტექსტილის, შესამოსელის, კერამიკული ნაწარმის, მუსიკალურ ინსტრუმენტთა დიზაინის შესწავლა-დამუშავებას. ვიზუალური ფოლკლორის მიმართებას ზეპირსიტყვიერებასთან, მუსიკალურ ფოლკლორთან, ხალხურ ქორეოგრაფიასთან.

☐ "XX ს-ის დასაწყისის ფუტურისტული წიგნები"
წარმოდგენილია ფუტურისტული წიგნების ლიტერატურულ-მხატვრული შესწავლა-ანალიზი, თბილისში 1918-1919 წლებში დაბეჭდილი ფუტურისტული წიგნების მნიშვნელობა და სპეციფიკა.

1.12) თბილისი, როგორც კულტურული ფენომენი

- ☐ “თბილისის წმინდა გიორგის სახელობის ქვაშვეთის ეკლესია”
  დამუშავებულია თემასთან დაკავშირებული სპეციალური ლიტერატურა, საარქივო მასალა და ტექსტი.
- ☐ “ზემო კალას ურბანული კვანძის – ავლევის ქუჩის, ავლევის შესახვევის, იეთიმ-გურჯის და ჩახრუხაძის ქუჩებისა და მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული ნაგებობების კვლევა”
  ჩატარებულია საველე სამუშაოები: თბილისის უძველეს უბნებში (ქვემო კალა, ისანი, საკუთრივ თბილისში) საკვლევ კვარტალთა სიძველის გამოვლენის მიზნით. შესწავლილია შესაბამისი ნაგებობები, ჩატარდა ფოტოფიქსაცია.
- ☐ "კლდისუბნის წმ. გიორგის ეკლესიის მიმდებარე განაშენიანების კვლევა"
  დამუშავებულია საარქივო-ბიბლიოგრაფიული მასალა, შესწავლილია ეკლესიის მიმდებარე განაშენიანება და გამორჩეული მხატვრულ-ისტორიული ღირებულებების ნაგებობები.
- ☐ “თბილისის ურბანული განვითარება XIX ს.-ში ქალაქის გეგმებისა და საარქივო მასალის მიხედვით”
  დამუშავდა თბილისის ურბანულ განვითარებასთან დაკავშირებული საარქივო მასალა და გეგმები – XVIII-XIX სს. მიჯნის, XIX ს.-ის I ნახევრის, შუა ხანისა და XIX ს-ის მიწურულის.
- ☐ "თბილისური სახლი და თბილისური პორტრეტი (საზღვრის პრობლემა ახალ ქართულ ხელოვნებაში)"
  წარმოდგენილია თბილისური სახლისა და თბილისური პორტრეტის შედარებითი ანალიზი; საკითხის ზოგად – კულტურული და ზოგად-კონტექსტუალური ანალიზი, საზღვრის პრობლემა ახალ ქართულ ხელოვნებაში.

1.13.) ქართული სცენოგრაფია

- ☐ "XX საუკუნის ქართული თეატრალური მხატვრობის ძირითადი ტენდენციები. რუსთაველის თეატრში დაცული სამუზეუმო მასალის მიხედვით"
  დამუშავებულია რუსთაველი თეატრში დაცული სამუზეუმო მასალა, სარეპეტიციო დღიურები, გადაირჩა იმ მხატვრათა ნამუშევრები, რომლებშიც მკაფიოდაა წარმოჩენილი ინდივიდუალური ხელწერა. კვლევა ძირითადად 1920-1930-იანი წლების მასალას დაეყრდნო.
- ☐ "ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის” მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე განხორციელებული დადგმის სცენოგრაფიის მხატვრულ-სტილისტური თავისებურებები"
  გეგმის თანახმად არქივებსა და მუზეუმებში მოძიებულ იქნა და დამუშავდა 1939 წ. მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე განხორციელებული ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის“ დადგმის ირგვლივ არსებული მასალა (დეკორაციებისა და კოსტუმების ესკიზები, მოგონებები, პირადი მიმოწერა რეჟისორის, მხატვრისა და სადადგმო ჯგუფის სხვა წევრებს შორის). მასალის შემდგომი კვლევის საფუძველზე მეტ-ნაკლები სიზუსტით გამოიკვეთება სპექტაკლის ვიზუალური მხარე და მისი მხატვრულ-სტილისტური თავისებურებები.
- ☐ "XX ს-ში ქართულ თეატრში მოღვაწე მხატვრები"
  მოპოვებულ იქნა საენციკლოპედიო მასალა თეატრში მომუშავე ქართველი მხატვრების შესახებ. კვლევა შეეხო პ. ოცხელის, ე. ახვლედიანის, დ. კაკაბაძის, ი. გამრეკელის, ი. შტენბერგის, მ. მურვანიძის, ს. ვირსალაძის, გ. მესხიშვილის, გ. გუნიას, ვ. ასკურავას, „სამეულის“, ი. გეგეშიძის, მ. ჭავჭავაძის, მ. გოცირიძის, მ. შავიშვილის და სხვათა შემოქმედებას.

1.14) კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შესწავლის მეთოდოლოგიის საკითხები:

- "არქიტექტურულ ძეგლთა დაცვის კრიტერიუმები 2005-2007 წწ.-ში: ცვლილებათა თანაფარდობა.
  დამუშავებული და კლასიფიცირებულია საკითხის შესახებ არსებული ფაქტობრივი მასალა; საერთაშორისო კონვენციებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კრიტერიუმების ურთიერთმიმართება.
- "ხელოვნების ისტორიის სწავლების მეთოდიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში"
  დამუშავდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ხელოვნების ისტორიის სწავლების მეთოდიკა სწავლების სამი საფეხურის შესაბამისად I-VI კლასებში, VII-X და XI-XII კლასებში. შემუშავდა სკოლაში ხელოვნების სწავლების კონცეფცია.
- „წინანდლის ალექსანდრე ჭავჭავაძის მამულის სარეაბილიტაციო სამუშაოების თეორიული ნაწილის წარმართვა“.
  წინანდლის სასახლისა და ღვინის ქარხნის კონსერვაცია-რეკონსტრუქციის ექსპერტიზა და თეორიული ნაწილის მომზადება. დამუშავდა მასალა, რომელიც თანმიმდევრულად წარმოგვიდგენს წინანდლის მამულში არსებული არქიტექტურული ანსამბლის სარესტავრაციო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს. დამუშავებულია საარქივო მასალა (ისტორიული დოკუმენტები, ანსამბლის გენერალური გეგმა პარკის განაშენიანებასთან ერთად, ნაგებობათა პროექტები).

1.15) საარქივო მასალების კვლევა

- ვ. ბერიძის სამეცნიერო არქივის დამუშავება
  დამუშავებულია ვ. ბერიძის არქივში დაცული მასალა: მიმოწერა, სამუშაო მასალები, ფოტო და გრაფიკული მასლა, ვ. ბერიძის საგაზეთო ნაშრომები.

2. პროგრამული პროექტები

2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს „2008 წლის კულტურული მემკვიდრეობის პროგრამის“ ფარგლებში ცენტრმა განახორციელა შემდეგი პროექტები:

1. ისტორიული პროვინცია თორის (ბორჯომის რაიონი) უძრავი ძეგლების დაფარვითი ინვენტარიზაცია;
2. ხარაგაულის რაიონის დაფარვითი ინვენტარიზაცია;
3. უძრავ ძეგლთა პასპორტიზაცია ზემო სვანეთში;
4. შუა საუკუნეების ხატწერის ალბომი;
5. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა ინვენტარიზაცია და ფოტოგადაღება თუშეთში;
6. ხევსურეთის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაცია;
7. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუზეუმში დაცული თეატრალურ-დეკორაციული მხატვრობის ნიმუშთა კატალოგის გამოცემა;
8. ქართლის (ატენი, ბზა, აძიკვი, ტბისი) ეკლესიათა საფასადო რელიეფების პასპორტიზაცია;
9. გარეჯის მონასტრები – ლავრა, უდაბნო (წიგნის გამოცემა)

10. კონსერვაციის საერთაშორისო დოკუმენტების თარგმნა (იუკა იუკილეტოს წიგნი „კონსერვაციის ისტორია“).
11. უფლისციხის არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლების პასპორტიზაცია;
12. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კოლექციის აღრიცხვა-პასპორტიზაცია;
13. ალბომის “თბილისური სადარბაზოები” გამოსაქვეყნებლად მომზადება;
14. ალბომის “თბილისური სადარბაზოები” გამოცემა;
15. ალბომის “ადრექრისტიანული ქართული ქვაჯვარები” (ქვემო ქართლი) გამოსაცემად მომზადება;
16. ბოლნისის რაიონის ადრექრისტიანული პლასტიკის ძეგლების ინვენტარიზაცია;
17. ნ. დუმბაძის სახ. ცენტრალური საბავშვო თეატრის მუზეუმის კოლექციის აღრიცხვა-პასპორტიზაცია;
18. საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის “კავკასიური სახლის” განყოფილების – სმირნოვის პუშკინის მემორიალში დაცული კულტურული მემკვიდრეობის და მატერიალურად ღირებული მასალის წიგნად გამოქვეყნება – ელექტრონული ვერსიის მომზადება წიგნის გამოსაცემად;
19. ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კატალოგის მომზადება;
20. გარეჯის მონასტრები – ნათლისმცემელი, ბერთუბანი (ალბომი – მოსამზადებელი სამუშაოები);
21. ალბომის “ანანური” გამოსაქვეყნებლად მომზადება;
22. წიგნის გამოსაცემად მომზადება რადიოს ოქროს ფონდზე “სახსოვარი”;
23. წიგნის გამოცემა რადიოს ოქროს ფონდზე “სახსოვარი;
24. ვ. ბერიძის სახელობის ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმის ჩატარება;
25. საინფორმაციო ბროშურის “რეკომენდაციები ძეგლთა მოყვარულთათვის ანუ როგორ მოვეპყრათ ძეგლებს“ გამოსაცემად მომზადება;
26. საინფორმაციო ბროშურის „რეკომენდაციები ძეგლთა მოყვარულთათვის ანუ როგორ მოვეპყრათ ძეგლებს“ ბეჭდვა;
27. საინფორმაციო ბროშურის „ძეგლზე მოქცევის წესები ყმაწვილთათის“ მომზადება;
28. საინფორმაციო ბროშურის ბეჭდვა “ძეგლზე მოქცევის წესები ყმაწვილთათვის”;
29. კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო ობიექტების ნუსხის და კვლევის აქტების შედგენა;
30. კულტურული მემკვიდრეობის კანონის ინგლისურად თარგმნა;
31. კულტურული მემკვიდრეობის კანონის ინგლისურად გამოცემა;
32. ელენე ახვლედიანი კერძო კოლექციებიდან – კატალოგის მაკეტის მომზადება;
33. “სენაკის რაიონის ძნმ ობიექტების პასპორტიზაცია და დაცული ზონების ფორმირება” (II ეტაპი);

34. ვ. ბერიძის “ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის” (IV ს-1921 წლამდე) გამოსაცემად მომზადება;
35. კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო მეთოდოლოგიური ლიტერატურის (ევროსაბჭოს სამი დოკუმენტი) თარგმანის რედაქტირება და გამოსაცემად მომზადება;
36. კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო მეთოდოლოგიური ლიტერატურის (ევროსაბჭოს სამი დოკუმენტი) თარგმანის ბეჭდვა;
37. რაჭის ძეგლთა ამსახველი ალბომის გამოცემა (1991 წლის მიწისძვრით დაზარალებული ძეგლების ალბომი);
38. მცხეთის ჯვრის საიუბილეო ალბომის დაბეჭდვა;
39. ალბომის – “ზარათის ეკლესია” ბეჭდვა;
40. დიდი და პატარა ლიახვის ხეობების მატერიალური ძეგლების გზამკვლევის ბეჭდვა;
41. “ქართულ-აფხაზური ალბომი”-ს გამოცემა (XIX ს. დასასრული-XX ს. დასაწყისი);
42. ქართული ხელოვნების ისტორიის ინგლისურენოვანი პოპულარული ბუკლეტის გამოსაცემად მომზადება;
43. ქართული ხელოვნების ისტორიის უცხოურენოვანი პოპულარული ბუკლეტის ბეჭდვა;
44. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების მხატვრული ფოტოგრაფირება;
45. თბილისი. კალას უბნის ფოტოფიქსაცია;
46. “დ. კაკაბაძე კინოში” – წიგნის გამოსაცემად მომზადება;
47. ქართული მოდერნიზმი/მოდერნულობა. ვებ გვერდის მომზადება.

3. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია

ტრადიციულად, ცენტრი უდიდეს ყურადღებას უთმობს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაციას. ამ მიზნით:

3.1. ცენტრმა მოამზადა მასალები (ტექსტები) შემდეგი პუბლიკაციებისათვის:

- ☐ “წალენჯიხის მოხატულობა” (ტექსტის მომზადება წიგნისათვის)
- ☐ "თანამედროვე ქართული ქანდაკება – მერაბ მერაბიშვილი (მასალის მომზადება-დამუშავება ალბომ-კატალოგისთვის)"

  განხორციელდა მ. მერაბიშვილის შემოქმედებასთან დაკავშირებული სპეციალური ლიტერატურის დამუშავება და მოქანდაკის პირადი არქივის შესწავლა.

3.2. კულტურის სამინისტროს პროგრამული დაფინანსებით გამოსაცემად მომზადდა:

- ☐ შუა საუკუნეების ქართული ხატწერა;
- ☐ ქართული ქვა-ჯვარები;
- ☐ ანანური;
- ☐ დავით გარეჯის მონასტრები – ნათლისმცემელი, ბერთუბანი;
- ☐ კონსერვაციის საერთაშორისო დოკუმენტაცია - Jukka Jokilehto, "A History of Architectural Conservation", ქართული თარგმანი;
- ☐ ონის მხარეთნცოდნეობის მუზეუმის კატალოგი;
- ☐ წიგნი: „სმირნოვების სახლი – საჩუქრად საქართველოს“.

3.3. 2008 წელს ცენტრის მიერ გამოცემული წიგნები და ალბომები:

2008 წელს ცენტრმა ჩაატარა ტენდერები მისი თანამშრომლების მიერ პროგრამის ფარგლებში მომზადებული წიგნების და ალბომების ბეჭდვაზე (საერთო ღირებულებით 127 860 ლარი)

2008 წელს ცენტრის მიერ გამოიცა შემდეგი წიგნები და ალბომები:

1. **მცხეთის ჯვარი** (დ. თუმანიშვილი, თ. ხუნდაძე, დ. ხოშტარია) –ტირაჟი 1000; **დავით გარეჯის მონასტრები** (ა. ვოლსკაია, დ. თუმანიშვილი, მ. ბულია) – ტირაჟი 1000; .
2. **ზარათის ღმრთისმშობლის ეკლესიის მოხატულობა** (ი. ხუსკივაძე, ფ. დევდარიანი – ტირაჟი 800;
3. **რაჭა: 1991 წლის მიწისძვრით დაზიანებული ძეგლები** (ნ. ლაღიძე, ლ. წილოსანი, ე. გედევანიშვილი, ნ. ვაჩეიშვილი, თ. ხუნდაძე, ი. ხუსკივაძე) – ტირაჟი 2000;
4. **თბილისური სადარბაზოები** (ც. კილაძე, მ. მეძმარიაშვილი, თ. გერსამია – ტირაჟი 1000; .
5. **თეატრის მხატვრობა – 1920-1950. შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექცია** (დ. ლებანიძე, ე. თუმანიშვილი, მ. ოკლეი – ტირაჟი 1000;
6. **ძეგლზე მოქცევის წესები ყმაწვილთათის** (ლ. ანდრონიკაშვილი, მ. დიდებულიძე, დ. თუმანიშვილი – ტირაჟი 5000;
7. **რეკომენდაციები ძეგლთა მოყვარულთათვის ანუ როგორ მოვეპყრათ ძეგლებს** (ლ. ანდრონიკაშვილი, მ. დიდებულიძე, დ. თუმანიშვილი ტირაჟი – 2000;
8. **ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო დოკუმენტები კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაცია-კონსერვაციის სფეროში** (ინგლისურიდან თარგმნეს მ. მაისურაძემ, მ. დიდებულიძემ და ქ. მიქელაძემ) – ტირაჟი 300;

9. **სახსოვარი** (ლ. კიკილაშვილი) – ტირაჟი 500;
10. **Ancient Georgian Art** (მ. დიდებულიძე, დ. თუმანიშვილი). – ტირაჟი 5000;
11. **Law of Georgia on Cultural Heritage Protection** (ქართულიდან თარგმნა ნ. მატარაძემ) – ტირაჟი 800;
12. **ქართულ-აფხაზური ალბომი** (პ. ქურდოვანიძე, ხ. ჭურღულია) ქართულ და აფხაზურ ენებზე – ტირაჟი 1000;
13. **დიდი და პატარა ლიახვის ხეობების მატერიალური კულტურის ძეგლების გზამკვლევი** (გ. ჭანიშვილი) – ტირაჟი 500

აღნიშნული გამოცემების რეალიზაცია დაიწყო 2008 წლის დეკემრის თვეში და 2009 წლის 1 იანვრამდე რეალიზებული იქნა 254 ლარის ღირებულების საქონელი (11 წიგნი). წიგნების ტირაჟის ძირითადი ნაწილის რეალიზება გაგრძელდება 2009 წელს.

გარდა ამისა, საქართველოს საპატრიარქოს დაფინანსებით ცენტრის მიერ გამოცემულ იქნა წიგნი **„ქრისტიანული ქართული ხელოვნება“. (ტირაჟი 3000).**

3.4. **ცენტრმა გამოსცა ჟურნალის „საქართველოს სიძველენი“ № 10, № 11 გამოცემები** *(კერძო დაფინანსებით)*.

3.5. **სამეცნიერო და პოპულარულ პერიოდულ გამოცემებში დაიბეჭდა ცენტრის თანამშრომელთა არა ერთი სტატია (35 სამამულო პერიოდიკაში და 11 საერთაშორისო გამოცემებში).**

4. სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა და მონაწილეობა:

- ☐ თ. ვირსალაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონფერენცია;
  2008 წლის ნოემბერში ჩატარადა თ. ვირსალაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. დაიბეჭდა მოხსენებათა თეზისები ქართულ და ინგლისურ ენებზე.
- ☐ ვახტანგ ბერიძის სახელობის ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქართული ხელოვნება ევროპისა და აზიის კულტურათა კონტექსტში“ (გაიმართა თბილისსა და ბათუმში, 2008 წ. 21-29 ივნისს);

5. ს. ქობულაძის სახ. ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიის მიერ განხორციელებული სამუშაო:

- ☐ **ლაბორატორიის სლაიდოთეკის ინფორმაციულად და ვიზუალურად მოძველებული ბარათების ახალი ფორმის და შინაარსის ბარათებით ჩანაცვლება** (სულ: 1,800 ც.)
  განახლდა გეგმით გათვალისწინებული 1800 ბარათი
- ☐ **სლაიდოთეკაში დაცული ფოტო-მასალის დიგიტალიზაცია, სისტემატიზაცია და არქივში განთავსება** (სულ: 400 ც.)
  დასკანერდა და კომპიუტერულ მონაცემთა ბაზაში შევიდა 919 სლაიდი ლაბორატორიის სლაიდოთეკიდან.
- ☐ **გ. ჩუბინაშვილის სახ. ეროვნული ცენტრის ბაზაზე შემუშავებული და გრანტებით დაფინანსებული პროექტების, აგრეთვე ცენტრისა და კულტურის სამინისტროს დაკვეთების მომსახურება** (სულ: 700 ც.)
  ჩუბინაშვილის ცენტრისთვის შესრულდა ლაბორატორიაში დაცული სლაიდების ელექტრონული ვერსიები: ალბომისთვის „დავით-გარეჯი“, (106 სლაიდი), ალბომისთვის „ქართული ქრისტიანული ხელოვნება“ (229 სლაიდ), წიგნისათვის „ქვის რელიეფები" (60 სლაიდი), ბროშურისთვის „ძველი ქართული ხელოვნება“ (22სლაიდი), ვ. ბერიძის წიგნის გამოსაცემად (90 სლაიდი), ცენტრის თანამშრომლებისთვის (128 სლაიდი)
  ვ. ბერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმის გამოფენისათვის (50 სლაიდი).
- ☐ **დაინტერესებულ კერძო პირთა და ორგანიზაციების უზრუნველყოფა საარქივო და კომპიუტერული მომსახურებით (სულ: 300 ც.)**
  შესრულდა სხვადასხვა ორგანიზაციებისა და კერძო პირთა დაკვეთები სულ, 300 ცალი.

6. საარქივო მასალის დამუშავების მიმართულებით შესრულდა შემდეგი სამუშაო:

- ☐ **ცენტრის საარქივო მასალის მეცნიერული დამუშავება**
  დამუშავდა ლ. რჩეულიშვილის, თ. ვირსალაძის და ტ. შევიაკოვას არქივები – დალაგდა რეგიონების, რაიონების მიხედვით; გაკეთდა კატალოგი მოკლე ანოტაციებით, ბარათები სრული ინფორმაციით ძეგლებზე; დამუშავდა იტალიელი მეცნიერის ალპაგო ნოველოს მიერ გადმოცემული ნახაზების ნაწილი.

- ☐ **ცენტრის არქივში დაცული თ. ვირსალაძის არქივის დამუშავება**
  დამუშავებულია თ. ვირსალაძის არქივი. გაკეთდა კატალოგი მოკლე ანოტაციებით.

- ☐ **ანაზომების ანალიტიკური კატალოგისთვის მასალების შეგროვება-დამუშავება**
  მოძიებულია და დამუშავებულია ცენტრის არქივში დაცული ანაზომები ანალიტიკური კატალოგისათვის.

- ☐ **მომზადებული მასალის ელექტრონული ვერსიის შექმნა**
  არქივის ელექტრონული პროგრამისათვის მომზადდა პასპორტები.
- ☐ **ცენტრის ბეჭდვითი პროდუქციის დაგზავნა**
  ცენტრის ბეჭდვითი პროდუქცია დაგზავნილია საქართველოსა და მის ფარგლებ გარეთ არსებულ ბიბლიოთეკებში, მეცნიერებთან, კოლეგებთან.

- ☐ **ცენტრის თანამშრომელთა ბიბლიოგრაფიის და ვებგვერდის შევსება**
  ცენტრის ვებ-გვერდში შეტანილია ცვლილებები, შევსებულია ცენტრის თანამშრომელთა ბიბლიოგრაფია, ბიბლიოთეკის წიგნების სია.

6.1. ცენტრის ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფი 2008 წელს მუშაობდა მიკროფიშების კრებულის – „ქართული არქიტექტურა“ VIII ტომის მომზადებაზე, რომელიც ეძღვნება საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ძეგლებს. დამუშავდა ტაო-კლარჯეთის ძეგლების შესახებ არსებული წერილობითი, გრაფიკული და ფოტო--დოკუმენტაცია. დაიწერა შესავალი ტექსტი.

7. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგება:

7.1. 2008 წელს ცენტრმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მუშაობისთვის აუცილებელი ხელსაწყოები და აღჭურვილობა შეძენილ იქნა როგორც მეცნიერ-თანამშრომლების, ასევე ტექნიკური პერსონალის და ს.ქობულაძის სახ. ფოტოლაბორატორიის საქმნიანობის გაუმჯობესებისთვის. კერძოდ, შეძენილ იქნა:

- ☐ პერსონალური კომპიუტერები და „notebook'-ები მეცნიერ-თანამშრომელთა მუშაობისთვის;
- ☐ დიგიტალური პროექტორები;
- ☐ ფოტო-კამერები;
- ☐ სკანერები;
- ☐ პროფესიული ფოტო-აღჭურვილობა ფოტო-ლაბორატორიისთვის;
- ☐ ავტომანქანა „ნივა“;
- ☐ მიზნობრივი პროექტებისთვის საჭირო სხვა აღჭურვილობა.

7.2. ჯერაც გადაუწყვეტელი რჩება ცენტრის შენობის საკითხი (იხ. 10. პრობლემები**).**

8. თანხების მოძიების პროგრამა

საბიუჯეტო და პროგრამული დაფინანსების გარდა ცენტრმა მოიზიდა სახსრები დაფინანსების სხვა წყაროებიდან და განახორციელა შემდეგი პროექტები:

- ☐ გომარეთის ღმრთისმშობლისა და კვირაცხოვლის ეკლესიების რესტავრაცია (2007-2008 წწ.). დაფინანსდა საქართველოს ისტორიული ძეგლების დაცვისა და გადარჩენის ფონდის მიერ;
- ☐ საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გაზსადენის გასაყვან სავარაუდო ტრასაზე: ახალქალაქი-ასპინძა-ახალციხე, საგურამო-ნავთლუღი, გარდაბნისა და დუშეთის რაიონების ტერიტორიეზე კულტურული მემკვიდრეობის მიწისზედა ძეგლების აღნუსხვა, ფიზიკური მდგომარეობის ფიქსაცია, მომზადდა საექსპერტო დასკვნები, განისაზღვრა დასცვითი ზონები, შედგა სამი ძეგლის წინასწარი სარესტავრაციო პროექტი.
- ☐ საქველმოქმედო ფონდმა "ქართუმ" დააფინანსა ძეგლთა აღრიცხვის ჯგუფის მუშაობა აღმოსავლეთ საქართვლოს ხუროთმოძღვრული ძეგლების დიგიტალური ნუსხის შესადგენად.
- ☐ 2008 წლის აგვისტოში საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით ცენტრმა შეიმუშავა და კულტურის სამინისტროს წარუდგინა სამოქმედო პროგრამა, რომელიც ეხება ოკუპირებულ და ომით დაზარელებულ რეგიონებში არსებულ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს და მათი ამჟამინდელი მდგომარეობის აღრიცხვისა და დაცვის ღონისძიებებს. ამ პროგრამის ფარგლებში ცენტრის თანამშრომლებმა მოამზადეს ვებ-გვერდი „ქართული ძეგლები რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებში", რომელიც განთავსდა კულტურის სამინისტროს ვებ-გვერდზე.
- ☐ ამავე პროგრამის ფარგლებში ცენტრმა დააფინანსა „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის" მიერ შიდა ქართლისა და აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი მოძრავი ფოტო-გამოფენა და ინგლისურენოვანი ბუკლტები, რაც მნიშვნელოვანი წვლილია იმ „საინფორმაციო ომში" რომელსაც საქართველო ეწევა თავისი ტერიტორიალური ერთიანობის დასაცავად.

9. ცენტრის თანამშრომელთა მიერ 2008 წელს განხორციელებული სხვა საქმიანობა

9.1. ცენტრის თანამშრომელთა მონაწილეობა კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, სემინარებში

- ☐ ვახტანგ ბერიძის სახელობის ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქართული ხელოვნება ევროპისა და აზიის კულტურათა კონტექსტში" (გაიმართა თბილისსა და ბათუმში, 2008 წ. 21-29 ივნისს);
- ☐ კონფერენცია „ტექსტი და გამოსახულება შუა საუკუნეებში", ბაზელის უნივერსიტეტი, 22-25 იანვარი, 2008 წ.;

- საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო: ეროვნული კულტურის ფორმირება", მიჩიგანის უნივერსიტეტი, ენ-არბორი, 15-18 მაისი, 2008 წ.;
- თ. ვირსალაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია; 28 ნოემბერი, 2008;
- Tuning Dissemination Conference, ბრუსელი, 22-24 აპრილი, 2008;
- ბათუმის საერთაშორისო კონფერენცია: შავი ზღვის იდენტურობა (Black See Identity), 22-24. მაისი 2008;
- საერთაშორისო სიმპოზიუმი, Shaping Religious Space: Veneration of Miracle-working Icons in Medievel Georgia, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი, ვაშინგტონი, 16-20 სექტემბერი, 2008;
- ვორკშოპი – შავი ზღვის რეგიონის იდენტურობის ძიებაში, გუდაური, 18-20 იანვარი, 2008;
- კურატორთა საერთაშორისო სემინარი. გოეთეს ინსტიტუტი. ბერლინი. 2008;
- MSE _ კურატორთა საერთაშორისო კონფერენცია. პრაღა, ნოემბერი, 2008;
- "Georgian Season – 2007"- ლონდონის ნაციონალური ბიბლიოთეკა 19 იანვარი, .2008;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთართაშორისო ორგანიზაციის "ლურჯი ფარის" (Blue Shield) კონფერენცია;
- ICOM-ს საერთაშორისო კონფერენცია.

9.2. ცენტრის თანამშრომელთა მიერ მიღებული სამეცნიერო სტიპენდიები და გრანტები

ცენტრის თანამშრომლები მუდმივად ზრუნავენ სამეცნიერო სტიპენდიებისა და გრანტების მოპოვებაზე სამეცნიერო კვლევის უკეთ წარმართვის მიზნით. 2008 წელს ცენტრის თანამშრომლების მიერ მოპოვებულ იქნა შემდეგი გრანტები:

- DAAD (გერმანია)
- ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, ბუდაპეშტი;
- მაქს პლანკის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, ფლორენცია.
- საქველმოქმედო ფონდი „ქართუ", თბილისი.
-

9.3. ცენტრის თანამშრომელთა პედაგოგიური მოღვაწეობა

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ტრადიციებზე დაყრდნობით ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს საგანმანათლებლო მოღვაწეობა, ანუ მომავალი თაობების აღზრდა და მომზადება როგორც სამეცნეირო სფეროში, ასევე კონსერვაცია-რესტავრაციის, ხუროთმოძღვრების, სახვითი ხელოვნების, თეატრისა და სხვა.
2008 წელს ცენტრის თანამშრომლები პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ შემდეგ სასწავლებლებში:

- ☐ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
- ☐ ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნიოვერსიტეტი
- ☐ ილ. ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ☐ თბილისის სასულიერო აკადემია
- ☐ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
- ☐ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი
- ☐ წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ხატწერის სკოლა.

9.4. საზოგადოებრივი საქმიანობა

ცენტრის თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

9.4.1 საექსპერტო საქმიანობა

ცენტრში თავმოყრილია დარგის საუკეთესო სპეციალისტები. ამიტომ ცენტრის თანამშრომლები მონაწილეობას იღებენ ამ დარგში სამეცნიერო-მეთოდური საბჭოების მუშაობაში, კერძოდ:

- ☐ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან არსებული ხუროთმოძღვრების კონსერვაცია-რესტავრაციის სამეცნეირო-მეთოდური საბჭო;
- ☐ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან არსებული კედლის მხატვრობის კონსერვაცია-რესტავრაციის სამეცნიერო-მეთოდური საბჭო;
- ☐ საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრთან არსებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭო;
- ☐ საექსპერტო დასკვნების მომზადება სამინისტროს მიერ მოწოდებულ საკონსერვაციო-სარესტავრაციო პროექტებზე;

- ☐ მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტში მიმდინარე კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონში ცვლილებების განხილვაში.
- ☐ მონაწილეობდნენ ძველი თბილისის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული საკითხების და პროექტების საჯარო განხილვებში.
- ☐ მონაწილეობდნენ საქართველოს ისტორიული ქალაქების რეაბილ;იტაციის სახელმწიფო პროგრამების შემუშავებაში (მაგ., სიღნაღი).

9.4.2. საზოგადიების ინფორმირება

- ☐ ცენტრის თანამშრომლები აგრეთვე აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოების ინფორმირების მინართულებით, კერძოდ საგაზეთო პუბლიკაციების მომზადება, ტელე და რადიო სიუჟეტებში მონაწილეობა და სხვ. მოამზადეს რამდენიმე გადაცემა საქართველოს საპატრიარქოს რადიოსთვის;
- ☐ განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობა პროექტში – Tuning – ხელოვნების ისტორიისა და თეორის, როგორც დისციპლინის ძირითადი სტანდარტები.

9.4.3. ქართული მართლმადიდებლური ენციკლოპედია

2007 წლიდან მოყოლებული ცენტრის თანამშრომლები, ძირითადად ძველი ხელოვნების განყოფილებიდან, აქტიურად არიან ჩართული „ქართული მართლმადიდებლური ენციკლოპედიისთვის“ ქართული ქრისტიანული ხელოვნების შესახებ სტატიების მომზადებაში.

10. პრობლემები

2008 წელს ცენტრის საქმიანობაში მთავარ პრობლემად რჩებოდა მისი შენობის საკითხი.

მას მერე, რაც 1992 წელს გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შენობა განადგურდა „თბილისის ომის“ ქარ-ცეცხლში, ინსტიტუტს (ამჟამად ცენტრს) აღარ ღირსებია ნორმალური სამუშაო პირობები. 1992-2007 წლებში იგი შეკედლებული იყო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის

რამდენიმე ოთხში, მისი ბიბლითეკის გადარჩენილი ნაწილი კი მეცნეირებათა აკადემიის ბიბლიოთეკის ერთ ოთახში. 2002 წელს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკამ მოითხოვა წიგნების გატანა, ხოლო მას მერე, რაც საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 12 დეკემბრის განკარგულების საფუძველზე ინსტიტუტი გამოვიდა მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობიდან (ვინაიდან მეცნიერებათა აკადემია გეგმავდა ინსტიტუტის გადაკეთებას ისტორიის ინსტიტუტის განყოფილებად) და დაფუძნდა როგორც საჯარო სამართლოს იურიდიული პირი (გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი), 2007 წელს ცენტრს მოუხდა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შენობის დატოვება.

2007 წელს გ. ჩუბინაშვილის ცენტრისთვის კულტურის სამინისტრომ გამოყო ფართი თაბუკაშვილის ქ. № 5-ში, თუმცა მაშინვე აღინიშნა რომ ეს ფართი (121 კვ.მ.) არასაკმარისია. ამიტომ ეკონომიკის სამინისტროს 2008 წლის 14 მარტს წარედგინა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს შუამდგომლობა (17/13/695) გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრისთვის თაბუკაშვილის ქ. № 5 შენობის პირველ და სარდაფის სართულებზე ფართის (300 კვ.მ) გადაცემის თაობაზე უზურფრუქტის წესით. განაცხადმა გაიარა ყველა ინსტანცია და ეკონომიკის მინისტრის ხელმოწერას ელოდებოდა, მაგრამ, ამა წლის ნოემბერში ეკონომიკის სამინიტრომ ეს ფართი სხვა დაწესებულებას გადასცა, კერძოდ ახლად შექმნილ კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს.

ასე რომ, ცენტრს ჩამოერთვა ის ფართიც, რომლის გადმოცემას დაპირდა ხელისუფლება. ცენტრი ისევე, როგორც 1992 წლიდან მოყოლებული, რამდენიმე ოთახის ანაბარა დარჩა.

ასევე მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ცენტრის ბიბლიოთეკის საკითხი. უნიკალური ბიბლიოთეკის 1992 წლის ხანძარს გადარჩენილი ნაწილი ჯერაც ტომრებშია ჩაწყობილი, და თანამშრომლებს არა აქვთ ნორმალური სამეცნიერო მუშაობის შესაძლებლობა. გასათვალისწინებელია, რომ ბიბლიოთეკით სარგებლობა საჭირო არა მხოლოდ ცენტრის თანამშრომლებისთვის, არამედ უმაღლესი განათლების სასწავლებელთა სტუდენტებისა და სხვა სამეცნიერო ცენტრებში მოქმედ მეცნეირებისთვისაც.

ცნეტრის თანამშრომელთა სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული ხელფასიც (საშუალო ხელფასია 200 ლარი) საკმაოდ მცირეა ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

გარკვეულ პრობლემას ქმნის ჩვენ ქვეყანაში საქველმოქმედო და კულტურულ მემკვიდრეობაზე ორიენტირებული ფონდების სიმცირე, რაც აფერხებს სამეცნიერო საქამიანობის ფართოდ გაშლას, სერიოზული სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციების მოწყობას, ფოტოფიქსაციის ლაბორატორიის ჯეროვან მუშაობას, მისი სლაიდოთეკის განახლება-შევსებას და სხვ.

დასკვნა

2008 წელს გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულმა ცენტრმა შეასრულა როგორც სახელმწიფოს წინაშე 2008 წლის 21 მარტის ხელშეკრულებით (№ 65) განსაზღვრული, ასევე სხვა დონორების წინაშე აღებული ვალდებულებები.

მ. დიდებულეძე
ხელოვნებათმცდნეობის დოქტორი,
ცენტრის დირექტორი

თბილისი 16 თებერვალი 2009 წ.